

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43  
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „ДროЗБА“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
ფასი განცხადებისა ღირს ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მხატვრული სტიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მოგაგვალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავეარივე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

მუდმივი ჩვენი მკითხველები, უეჭველია, შენიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა გაზეთმა თითქოს ხასიათი იცვალა; ეს თითქოს ხასიათის გამოცვლა მდგომარეობს იმაში, რომ ახლა ომისა და საპოლიტიკო ამბებს გაზეთში უფრო მომეტებული ყურადღება აქვს მიქცეული და მომეტებული ადგილიც დათმობილი, და ჩვენს შინაგან საქმეებს, საკუთრივ ჩვენს დარდასა და საჭიროებას კი უფრო ნაკლები, ვინემ აღრე ქონდა.

საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ გვარი ხასიათი გაზეთს მხოლოდ დროებით მიეცა, და მიეცა იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოება ამ ქაშად, სანამ ომია, სანამ ჩვენი და მსამალოს სახელმწიფო ხალ-ამოღებულები დგანან ერთმანეთის პირ-და-პირ, მანამ მოუთმენელად მოვლის ყოველ ახალ ამბავს ბრძოლის ველიდამ, მოვლის რადგან გრძობს, რომ ეს ბრძოლა, ცოტათ თუ ბევრად, იმასაც, იმის ქვეყანასაც შეეხება.

შათავდება ბრძოლა და „დროების“ რედაქციაც ისევ თავის ძველს კალაპოტში ჩააყენებს გაზეთს: მომეტებულ ყურადღებას ის საკუთრივ თავის ქვეყნის შინაგან საქმეებს მიაქცევს და უცხო ქვეყნების საქმეებზე მხოლოდ იმდენათ ილაპარაკებს, რამდენათაც ამ საქმეებს შეეძლება ექნეს რაიმე გავლენა და ზედმოქმედება ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ ჰაზრების შემუშავებაზე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მოგაგვალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი — მიიღება „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამბუხის სახლში).

ბარეშე მცხოვრებთა და ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ Редакціи „ДРОЗБА“.

სხვა ქალაქებში შემდეგ პირებთან — „დროების“ აგენტებთან — შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა:

- ბორჯომი — უფ. ალალო მუთავეთან
- სიღნაღს — უფ. ქოსტ. ბაღაშვილთან
- ახალსიხეს — უფ. იოსებ სულხანოვთან
- მუთაისში — უფ. ივ. სვ. მენთან
- მორაპანში — მ. დ. ლაშაშვიძესთან
- ონში — უფ. ალ. წულუყიძესთან
- ახალ-სენაქს — უფ. ნიკ. დგებუაძესთან და
- სამტრედიას — უფ. ლუკა სვ. აკლდინთან.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა . . . . .	8 მან.	„	კაპ.
მქუხის თვისა . . . . .	4	„	50
ოთხის თვისა . . . . .	3	„	„

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მოგაგვალის წლიდამ გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მოწერა და აგენტებს სხვადრი ვაჭლი გაზეთისა იმის დაბარებისა თანავე უნდა იქნეს გამოგზავნილი; თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არ აგვისა არ გაუგზავნის.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდამ

ბოგოტი, 12 ნოემბერს. (მფიციალური). ბუშინ ორი ტაბორი მსმალოს ჯარისა ცხენოსნებით მოადგნენ ტეტევანს ასაღებად. მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. მ.წ. მოგვიკლეს და ერთი დაგვიჭრეს.

ბოგოტი, 13 გიორგობისთვეს. (მფიციალური). ბუშინ, ორი დღის ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა აიღეს მრხანისა და მტროპოლს შუა ძალიან გამაგრებული პოზიცია სოფელს პროვაცთან, რომელსაც იცავდა ათი ტაბორი მსმალოს ჯარი. ჩვენ ძალიან ცოტა ზარალი გვაქვს.

ბოგოტი, 13 ნოემბერს. ბუშინ, სალამოს 6 საათზე, ღენ. ღანდევლის ჯარებმა აიღეს ქალაქი მტროპოლი, რომელიც საშინლად იყო ბუნებით გამაგრებული. მსმალოს ჯარი გაიქცა, ჩვენი დრაგუნები მისდევნ იმათ. ჩვენის მხრით ცოტაა დაჭრილ-მოკლული.

მენა, 13 ნოემბერს. ამბობენ, მსმან-ფაშამ უარი განაცხადა რუმინიის მთავართან კაპიტულაციის შესახებ მოლაპარაკებაზე; ის თანახმაა, რომ რომელიც სამე რუსის ღენერალთან დაიწყოს ამ საგანზე მოლაპარაკება. მსმან-ფაშის პირობები: რუმინიის ჯარები წავიდნენ პლევნოს არე-მარცხამ და თავისნიზამს (რეგულიარულს ჯარს) უფლება მიეცეს, თავისუფლად გაეიდეს პლევნოდამ. მთავარ-სარდალი არ არის ამ პირობაზე თანახმა, ის თანხმდება მხოლოდ, რომ აფიცრები გაათავისუფლოს, ისიც იმ პირობით, რომ ამათ პატიოსანი სტყევა მისცენ, რომ ამ ომში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

მეჭმედ-ალი-ფაშამ 15,000 კაცი მოაგროვა მრხანისთან. ღენ. ბურკოს მოწინავე ჯარი მტროპოლსა და მრხანის შუა არის, სადაც მალე ბრძოლას

მოელიან. მაშინ სერბიაც მიიღებს რამეში მონაწილეობას.

პლენოს აღების შემდეგ რუმინის ჯარები ლობრუჯუში იქნებიან დაყენებული.

სულთანს ჰაურს, რომ მორიგების თაობაზე პირ-და-პირ რუსეთის იმპერატორთან დაიწყოს მოლაპარაკება.

**ბოგოტი, 14 ნოემბერს. (მ. ფიციალური).**  
მრავალბატიონი ქვევითა ჯარი და ოთხი ბათალიონი ცხენოსანი 4 ზარბაზნით წავიდა მტრის დასათვლიერებელად მტრობოლისაკენ. მსმალეების ბანაკში საშინელი არეულობა მოხდა, რადგან ეგონათ, რომ ჩვენ იმათ თავსდასხმას ვაპირებდით; მრხანიეში გაგზავნეს კაცი მოსაშველებელად. ჩვენმა ჯარმა შეასრულა თავის საქმე, დათვალე რა მტერი და უკან დაბრუნდა; ამ დროს ამათ გამოედგნა 200 ცხენოსანი მსმალე, რომელიც ჩვენებმა ახლოს მოუშვეს და თითქმის ყველა გაწყვიტეს თოფის სროლით. ჩვენის მხრით დაჭრალია: კაპ. ტარნოვსკი, შტ.-კაპ. ლუტკევიჩი, პორუჩიკი ჭუკოვი და 27 სალდათი; მოკლულია 9 სალდათი

**მენა, 12 გიორგობისთვის. („ბოლოს“ დეკა).** სტამბოლში გამოვიდა პროკლამაციები, რომელშიაც თხოულობენ, რომ ახლანდელი სულთანი აბდულ-ზამიდი გადადგეს და იმის მაგიერად მსმალეთის ტახტზე ისევ მურადი ავიდეს, რომელიც ამ ჟამად სრულიად მორჩა.

შველანი პლენოს შესჩერებიან ახლა. მურადის მომხრენი თან-და-თან უფრო მომეტებულ ძალასა და გავლენას იჩენენ. მუდამ დღე აქ საეჭვო ხალხს ატუსაღებენ.

ამბობენ, რომ აიღებენ თუ არა რუსები პლენოს, ხონთქარს იმ წამსვე გადააყენებენ. მსმალეთის ნაციონალურ ძრების პრეზიდენტად სადიკ-ბეი არის დანიშნული.

სერბია სრულებით მზათ არის საომრად; იმის არმიას მხოლოდ საზამთრო ტანისამოსი აკლია.

მსმალოს ხომალდები ტუნისში მიდიან იმ 5,000 კაცის მოსაყვანად, რომელსაც ტუნისის-ბეი ხონთქარს უგზავნის ამ ომში მოსახმარად.

**სტამბოლი, 12 ნოემბერს. სულთანს**

არ უნდა მახადის მწვანე დროშის გამოფენა; ის თვითონ მიდის ბრძოლის ველზე და თავის არმიის მთავარ-სარდლობას იკისრებს.

**სტამბოლი, 12 გიორგობისთვის. მსმალეთის მთავრობა აკროვებს ახალს ჯარს 150,000 კაცს. სტამბოლის ნაციონალურ გვარდიის ჯარში ქრისტიანებაც იქნებიან ჩარიცხულნი.**

**პარიში, 12 ნოემბერს.** ახალმა სამინისტრომ წაიკითხა თავის პოლიტიკური პროგრამა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ეს სამინისტრო მტკიცედ დაცევს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ეცდება, რომ მშვიდობიანობა დაამყაროს და ვაჭრობისა და წარმოების საქმე გააცხოველოს საფრანგეთში; ის (სამინისტრო) დარჩება მხოლოდ იმ დრომდინ, როდესაც მაკ-მაჰანი შეიძლება ნაციონალური ძრების ანუ სენატის წევრებისაგან ახალ სამინისტროს შედგენას.

რესპუბლიკელ დეპუტატმა მარსერმა შეიტანა ნაც. ძრებაში წინადადება ახალი სამინისტროს შედგენის თაობაზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა მელშმა უპასუხა იმას. მაგრამ ძრებამ, 323 ხმის 208 ხმაზე უმეტესობით, მიიღო რესპუბლიკელების პაზრი, რომ პალატას არ შეუძლიან იქონიოს საქმე ისეთს სამინისტროსთან, რომელშიაც არც სენატისა და არც ნაც. ძრების წევრნი არ ურევანო.

# ომის აზებები

## აზიის ბრძოლის ველიდან

ბუშინ მოვიდა ძალაქში პეტერბურლისა და მოსკოვის გაზეთები, რომლებშიაც ეწერა შარსის აღების ამბავი. რაღა თქმა უნდა, რომ რუსული გაზეთები აღტაცებით ამბობენ როგორც საკუთრივ ამ გარემოებაზე, აგრეთვე საზოგადოთ ძვეკასიის არმიის მოქმედებაზე.

იმ არმიას, რომელმაც შარსი, ეს მართლაც გამოჩენილი ციხე, ეს მთელი მცირე აზიის დამფარველი სიმაგრე, აიღო, რასაკვირველია, არზრუმის აღება არ გაუძნელდება, ამბობენ ეს გაზეთები, და ამნაირად მოკლე დროში მთელი მსმალეთის სომხეთი ჩვენს ხელში იქნება...

თუმცა მოსკოვში და პეტერბურლში ეს ამბავი გვიან მისულა ღამით 6 ნოემბერს, მაგრამ, სიხარულის ნიშნად, ბევრი სახლები გაუჩირაღდნებიან და თეატრებში ხელმწიფის სადიდებელი სიმღერა უმღერიათ.

სტამბოლიდან 6 ნოემბერს გამოგზავნილი დეპეშა გვაცნობებს შემდეგ ამბავს არზრუმის შესახებ:

„არზრუმშიდამ მოვიდა ამბავი, რომ რუსებს მოსვლიათ ლევენტოვთან დაკლი ჯარები და, როგორც ისმის, ისინი ემზადებიან, რომ ჩრდილოეთის მხრით დაეცნენ ამ ქალაქს. აქ კარგი დღეები დაღა.“

სტამბოლელი კორესპონდენტი „Politische Correspondenz“-ისა შემდეგ ამბავს იწერება შარსის მდგომარეობაზე 2 ნოემბერს:

„როცა ავლიართან დამარცხებულმა მუხთარ-ფაშამ მიატოვა შარსი და არზრუმისაკენ წამოვიდა, იმან წამოიყვანათან 11 ბატალიონი, შარსში კი 31 ბატალიონი დასტავა; მაგრამ ეს ჯარები ისეთ ნაირად გულ-წამხდარნი, დაფთხობილნი და იმედ-დაკარგულნი იყვნენ, რომ მაშინ იმათ ბრძოლის ველზე გამოსვლა არც კი შეეძლოთ. ამას გარდა თვითონ შარსში 4,000-ზე მეტი ავათმყოფი ჯარის კაცი იწვა; ხალხი საშინლად შეშინდა, როდესაც მუხთარ-ფაშის დამარცხება გაიგო და ამ დაზარალებული ჯარის იმედით დარჩა.“

„მე დამარწმუნეს, რომ მაშინ რომ მოსდგომოდა რუსი პირ-და-პირ ამ საშიშ ციხე-ქალაქს, ძალიან ადვილად აიღებდაო.“

ავლიართან მუხთარ-ფაშის არმიის დამარცხებისათვის დ. თ. ნამესტნიკს, როგორც მოგვხსენებთ, წმ. ბიორგის ჯვარი პირველი ხარისხისა მიეცა ჯილდოთ; ამას გარდა ლენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვს მიეცა წმ. ბიორგის ჯვარი მეორე ხარისხისა, ლენერლებს: ლაზარეც, შოლკოვნიკოვსა და ბუბსკის იგივე ჯვარი მესამე ხარისხისა და ლენერლებს: თ. ზ. შავჭავაძესა და როპას აღმასებით შემკობილი ოქროს ხმალი ზედწარწერით „მხნეობისათვის“ ლენ. ბეიმანს 5,000 მან. პენსია.

არტანდიდან გვწერენ, რომ შარსის აღების ამბავი ამ ქალაქში 6 ნოემბერს საღამოს 5 საათზე მისულა; იმ წამსვე ეს ამბავი მთელს ქალაქში გავრცელებულა და დიდის ამბით უდღესასწაულონიათ: რამდენიმე ახალგაზდა შეკრებილა იქაურს სასტუმროში და დილის 3 საადამდინ უქეიფნიათ...

„ტელნის ზაზეთის“ არზრუმელი კორესპონდენტი ასე ავგიწერს ბეიმანის ატრიალის აზიზიესთან ბრძოლას:

„28 ლენობისთვის რუსები დიდის სიჩქარით და გაცხარებითა ჩამოვიდნენ ლევენ-ბონიდან იმ განზრახვით, რომ დასცემოდნენ არზრუმის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრის სიმაგრეებს და აეღოთ. მრავალკალონით მოდიოდნენ ესენი, და გზაზე რაც მსმალოს მოყარაუ-

ლე ჯარები ნახეს, წინ გაირეკეს და, სხვათა შორის, აიღეს აზიზიეს სიმაგრე (ბლოგვაუზი).

„ეს მოხდა დილის ოთხს საათზე; და ვინ იცის, იქნება ახლა არზრუმი რუსების ხელში იქნებოდა, რომ ოსმალელებს განსაცვიფრებელი მხნეობა არ გამოეჩინათ: გაბრაზებულ მგლებივით გამოიქცნენ ისინი არზრუმიდამ, მოაწინეს რუსის ჯარს და ხიშტებით იფრინეს ყველა იმ ალაგებიდამ, რომელიც კი ორი საათის განმავლობაში აეღოთ; ჯერ ერთი კალონა რუსებისა დაბრუნდა უკან; ვერ გაუძლო ოსმალეების მხნეობასა და სიმრავლეს; მერე სარდალმა ბრძანება გამოსცა, რომ სუყველა ჯარებს უკან დაეწიათ.

„ღვე-ბონინდინ, ოთხი ვერსის მანძილზე, სდიეს ოსმალეებმა რუსის ჯარებს და, როგორც ისინი ამტკიცებენ, ბევრი დაზოცილები, დაჭრილები და აგრეთვე საომარი მასალები დაატოვებინეს გზაზე. რამდენიმე კაცი ტყვედაც ავიყვანეთო.

„აზიზიეს ყაზარმა, საცა უმთავრესი შეტაკება მოხდა, ორ ვერსზედაა არზრუმიდამ, და იქ რომ რუსები დამკვიდრებულიყვნენ, უეჭველია, რამდენიმე დღეში მერე თვითონ არზრუმსაც აიღებდნენ.“

დ. თ. ძავეკასიის არმიის მთავარ-სარდლის განკარგულებით, შარსისა და ჩილდირის სანჯაყების იმ ნაწილებისაგან, რომელნიც ამ ჟამად ჩვენს ჯარებს უჭირავთ, შესდგება ცალკე მარა, რომელსაც ერქმევა სახელად შარსის მარა და რომელშიაც შემოღებული იქნება რუსის სამხედრო გამგეობა.

**მვრძპის ბრძოლის ველიდამ**

სტამბოლელი ელჩი ბერმანისა პრინცი რეისი აცხადებს, რომ ოსმალეთს ჩემთვის სრულიადაც არ უთხოვნია შუამავლობა რუსეთთან მორიგების თაობაზედაო.

„რეიტერის სააგენტოში“ იწერებია სტამბოლიდამ 1 ნოემბერს:

„მრთი ატრიადი რუსის ჯარისა ბერკოვეცისაკენ მიდის. ამ ატრიალის განზრახვა, როგორც ამბობენ, ის არის, რომ ხელ-ახლად გადავიდეს ბალკანის მთებზე.

„სტამბოლში მოიყვანეს 700 რუსის სალდათი, რომელნიც აზიის ბრძოლის ველზე აუყვანიათ ოსმალეებს ტყვეთ.“

ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში იწერებია ორხანიდამ, 1 ნოემბერს, რომ, ოსმალეთის სამხედრო მთავრობის განკარგულებით, შიპკოდამ წამოიყვანეს ერთი ნაწილი იქ დაბანაკებული ჯარებისა და ორხანიეში გამოისტუმრეს მჭკმედ-ალი-ფაშისა და შევქეთ-ფაშის ჯარების გასაძლიერებელად; და ამ ჯა-

რებს, როგორც მოგვხსენებთ, ის დანიშნულება აქვს, რომ მიაწინეს პლენოს გარშემო დაბანაკებულ რუს-რუმინების ჯარს და ამ ნაირად ოსმან-ფაშას გაუადვილონ ამ ქალაქიდამ გამოსვლის ღონისძიება.

**საქართველო**

**დღიური**

\* \* ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ თფილისში შესდგა ერთი ქველ-მომქმედი საზოგადოება იმ მიზნით, რომ, რა ღონისძიებითაც შეეძლებოდა, ხელი მოეხმარათ მეომართა გაჭირებულ ოჯახებს.

ამ საზოგადოებისაგან მოგვივიდა ჩვენ თხოვნა, რომ „ღროების“ რედაქციამაც იკისროს ხსენებულის მიზნის ხელის-მომართვა და საზოგადოების დახმარება.

ღიდის სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენ ამ თხოვნას; და ამის გამო ვაცხადებთ, რომ ვისაც ამ ქველი საქმის დახმარება ჰსურს ფულით, ნივთით, ან რითაც ეხერხება, გამოგზავნონ „ღროების“ რედაქციაში და ჩვენ დაუყოვნებლივ ჩავაბარებთ, დანიშნულებისა-და-გვარათ. სახელი და გვარი შემწირველებისა, თუ ისურვებენ, გაზეთში იქნება გამოცხადებული.

\* \* მადლობა ღმერთს, როგორც იყო მოახდინა ახალი კენჭის-ყრა თფილისის სახელოსნო შპრავამ და როგორც იყო გამოცვალეს ხელოსნების მთავარ-უსტაბაშობისაგან უფ. შალინგი, რომელიც ასე მაგრად ეჭიდებოდა ამ თანამდებობა!

უფ. შალინგის მოადგილეთ ამოარჩიეს უფ. ანდრია ძაპანაძე. და ჩვენი შალაქის ხელოსნებს იმედი აქვთ, რომ ამ ახალი მთავარ-უსტაბაშის ხელში უკეთ, უფრო თადარიგინად და პატიოსნადაც წაეა ხელოსნების საქმე.

\* \* იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამას წინათ იყო ჩვენი შალაქის რჩევაში ასახებულ, ერთი ჩვენი ქალაქის ხელოსანი გვწერს:

„უფ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 189) წავიკითხე, რომ ვითომც ჩვენ შალაქის რჩევას გადაწყვიტოს, რომ შპრავა მოელაპარაკოს ხელოსნების უსტაბაშებსა, რომ ხელოსნებმა იკისრონ ასახების საქმეცა და ქუჩების გასუფთავებაც ქალაქის ხარჯითა.

შინც იმ კრებაზე დასწრებია, იმან სხვა ამბავი გამოიტანა: მითომ ღუმასა ჰსურს, რომ ხელოსნები ახლოდადაც ატაროს და გათენებისას ქუჩებიც დაგვეინოს—შუქათათა.

„არ ვიცი—რომელი ერთი მართალი. მაგრამ მოწონებით კი არცერთი არ მომწონს: ერთი მიზანშეწონიანობა და ქუჩების გასუფთავება, — მეორე ქალაქის ხარჯით, რატომ მაინცა-და-მაინც ჩვენ, ხელოსნებს უნდა მოგვედლოს? პოდრიადიკები თუ უნდა, განა თვითონ შპრავა ვერ იშოვნის პოდრიადიკებსა? ან მთელმა ამქარმა როგორ იკისროს ეს საქმე!

„რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენ, ხელოსნებს, მუქთად ანუ შალაქის ხარჯით, ჩვენის საკუთარის ხელით გვაგვეინონ ქუჩები, ან ახლოდათ გვატარონ ღამე, — ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ძალის დატანა არავის არ შეუძლიან და თუ ნება-ყოფლობით არის საქმე, ჯერ თვითონ პირველ და მერე ვილდის სოფლაგრებმა გვიჩვენონ მაგალითი და მერე ჩვენც სიამოვნებით შევასრულებთ.

„აფსუსია, რომ ამისთანა დროში, როცა ასეთი სიძვირე ჩამოვაჩრდა და როცა ჩვენი საწყალი თავისა და ოჯახის დასარჩენად დღე-და-ღამე გავრთებული გვაქვს მუშაობით, რომ ამისთანა დროში კიდევ ქუჩების დაგვასა და სახლების ყარაულობასა გვეუბნებიან...“

ძნელად შეიძლება, არ დაეთანხმოს კაცი ამ ხელოსნის სიტყვას...

\* \* ჩვენ არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ეს, მგონი, მეთორმეტე წელიწადია, რაც უფ. მდივანოვი თავის უმსგავსო ანბანს აბეჭდინებს და ალბათ ასაღებს კიდევ, თორემ რას გამოსცემდა: საცა არ გაიხედავთ, ბაზარში, იარაღუკაში, ღუქნებში ყველგან ეს ანბანი აწყვიტა. ხალხი, რომელსაც წერა-კითხვის სწავლა სწყურიათ, ხედავს ამ ანბანს, თვითონ რა იცის—როგორია, სხვები ეუბნებიან კარგიაო, ხელში აჩეჩებენ და ჰყიდილობენ..

ჩვერმა წიგნების გამომცემლებმა და საზოგადოთ მწიგნობრებმა ის უბრალო დასკვნა უნდა გამოიყვანონ აქედამ, რომ მართო წერა და გამოცემა არ კმარა წიგნისა, საჭიროა ვიცოდეთ, მოვახერხოთ იმის გავრცელება..

\* \* ღიდუბის (ძალონის) მცხოვრებლები სჩივიან, რომ ჩვენს ქუჩებზე ამ უკანასკნელ ხანებში საშინლად გამრავლდა ავაზაკობა და ყოველ-გვარი ცუდი კაცობაო. რაც ქალაქის ავაზაკობია, მართლაც, თითქმის სულ ამ ღიდუბეში და ახანოებისაკენ გროვდებიან ღამ-ღამე, სცარცვენ და ქეიფობენ, ქეიფობენ და სცარცვენ..

ამიტომაც კარგი იქნება, რომ ჩვენმა პოლიციამ ამ ორ უბანს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

ზანსაკუთრებით ახლა, როცა ასე გაცივრდა ჩვენს ქალაქში ყოველივე ცხოვრებისათვის აუცილებელად საჭირო საგანი და ხორავი, უეჭველია, რომ ავაზაკ-

